



ცნობილი პირველი ქალბატონები

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული / არამხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	786
კითხვის დონე:	17
ტექსტის მოკლე შინაარსი:	საინტერესო ისტორიები ამერიკის პირველი ქალბატონების შესახებ. მათი საქმიანობა, „თეთრ სახლში“ ცხოვრების წესი და ტრადიციები.

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის („ცნობილი პირველი ქალბატონები“) გაგება-გააზრება და სტრუქტურული თუ ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა:

გაგება / გააზრება:

- ინფორმაციული ტექსტის გასაგებად კითხვა-პასუხის სტრატეგიის გამოყენება;
- ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის დასახელება;

ლექსიკა და გრამატიკა:

ფონეტიკა	მორფოლოგია	ლექსიკა
ხმოვნები. ასო-ბგერა ე-ს გააქტიურება და დასწავლა თანხმოდებთან სინტაგმატურ კავშირში.	<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტში რთული რიცხვითი სახელების მოძიება. 2. ვარჯიში რთული რიცხვითი სახელების შედგენაზე. 	<p>უცხო სიტყვებზე მუშაობა (პრეზიდენტი, ლედი, პროექტი, ციტატა, დეპრესია, კონსტიტუცია, რევოლუცია, მემორიალი, პოლიომიელიტი, გრაციოზული, დემოკრატიკა, ადვოკატი, იმუნიტეტი, ჯანდაცვა, რეფორმა, სენატი, სენატორი).</p>

სტრატეგიები და მეთოდები:

ტექსტის გაგება/აღქმის მხარდასაჭერად კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენება.

რესურსები:

1. წიგნი - „ცნობილი პირველი ქალბატონები“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის).
2. დაფა, ცარცი.
3. ბარათები დისკუსიისათვის.
4. სამუშაო ფურცლები ტექსტზე სამუშაოდ, რიცხვით სახელსა და ხმოვნებზე სავარჯიშოდ.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან ცნობილი პირველი ქალბატონების შესახებ, ვის უწოდებენ პირველ ლედის, რა იციან მათი საქმიანობის შესახებ. გააკეთეთ ჩარტი, გააკარით დაფაზე და დაწერეთ ინფორმაცია, რასაც მოსწავლეები პირველი ლედის შესახებ გაიხსენებენ.
2. დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნები სათითაოდ. აჩვენეთ მათ წიგნის წინა და უკანა ყდა და წაუკითხეთ წიგნის სათაური. იმსჯელეთ მოსწავლეებთან წიგნის ყდის შესახებ, რას ხედავენ ყდაზე. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოთქვან საკუთარი ვარუდი, რა ტიპის წიგნი შეიძლება იყოს ეს ან რის შესახებ შეიძლება ეწეროს წიგნში.
3. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ - წიგნი მხატვრულია თუ არამხატვრული. სთხოვეთ, ახსნან თავიანთი მოსაზრებები.
4. აჩვენეთ მოსწავლეებს შიდა პირველი გვერდი, სადაც მითითებულია წიგნის სათაური და ავტორის სახელი, სურათები და უცხო სიტყვები.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

საკუთრივ კითხვის ეტაპი (წიგნის წარდგენა):

1. წიგნის კითხვისას კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენება:

- ა. მოსწავლეებთან ყურადღება გაამახვილეთ წიგნის მოკლე შინაარსზე. აუხსენით მათ, რომ მოკლე შინაარსი გვაძლევს საშუალებას, წარმოდგენა შევიქმნათ წიგნის სრულ შინაარსზე.
- ბ. დაუსვით კითხვები მოსწავლეებს, რა შეიტყვეს ახალი პირველი ქალბატონების შესახებ ტექსტის სათაურიდან და ტექსტის მოკლე შინაარსიდან.
- გ. მოსწავლეებს სთხოვეთ, ერთმანეთს დაუსვან კითხვები ტექსტიდან ამ დროისათვის ცნობილი ინფორმაციის შესახებ. გააკეთეთ ჩარტი, ფანქრით გაყავით ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაწერეთ მოსწავლეების მიერ დასმული კითხვები, მეორე ნაწილი დატოვეთ პასუხებისთვის.
- დ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს ტექსტის გაგების კითხვა-პასუხის მეთოდია:

***ხმამღლა ფიქრი:** კითხვაზე პასუხის გასაცემად მე შემიძლია გამოვიყენო წიგნის ქვეთავების სათაურები. მაგალითად, როდესაც ვკითხულობ სათაურს „რას საქმიანობს პირველი ლედი?“; ვფიქრობ, რომ ეს კარგი კითხვაა! მე მას ვწერ ჩარტზე. მე ასევე მაინტერესებს, იმ საქმიანობისათვის, რასაც პირველი ქალბატონები აკეთებენ, თუ იღებენ ხელფასს? მე ამ კითხვასაც ვწერ ჩარტზე.*

- ე. წახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ სურათები მათთვის მიცემული უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ტექსტის შესახებ კითხვების მოსაფიქრებლად. მოფიქრებული კითხვები დაწერონ ჩარტზე.
2. კითხვის პერიოდში წახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ კითხვის სხვა სტრატეგიებიც, გარდა მიზნობრივი კითხვა-პასუხის სტრატეგიისა.

უცხო სიტყვები:

პრეზიდენტი, ლედი, პროექტი, ციტატა, დეპრესია, კონსტიტუცია, რევოლუცია, მემორიალი, პოლიომიელიტი, გრაციოზული, დემოკრატიკა, ადვოკატი, იმუნიტეტი, ჯანდაცვა, რეფორმა, სენატი, სენატორი.

- ა. შეახსენეთ მოსწავლეებს უცხო სიტყვების სწავლის ნაცნობი სტრატეგიები. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოყონ მოცემული უცხო სიტყვებიდან ძირი, სუფიქსი და პრეფიქსი.
- ბ. აუხსენით მოსწავლეებს „უცხო სიტყვებზე შეტევის“ სტრატეგიის შესახებ. სთხოვეთ, წიგნი გადაათვალიერონ და მოძებნონ გამუქებული შრიფტით დაწერილი სიტყვები. (მაგ. *პრეზიდენტი*). აუხსენით, რომ ინფორმაცია ახალი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ შეიძლება გაიგონ კონტექსტის მიხედვით, ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით.

აქტივობები უშუალოდ კითხვის პროცესში:

გაგების უნარი / ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მოძიება.

1. სთხოვეთ, ბოლომდე წაიკითხონ ტექსტი. ყურადღება მიაქციონ იმ ფაქტებს, რომლებიც დაეხმარებათ მათ ჩარტზე დაწერილ კითხვებზე პასუხის გაცემაში.
2. კითხვის დასრულების შემდეგ გამართეთ დისკუსია ტექსტის შესახებ. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ თითოეულ ქვეთავში წაკითხული ფაქტები. მიღებული ინფორმაციის დახმარებით გაეცით ჩარტზე აღნიშნულ კითხვებს პასუხები.

***ხმამალა ფიქრი:** მინდოდა გამეგო იმის შესახებ, რას საქმიანობენ პირველი ქალბატონები. შევიტყვე, რომ ისინი ძალიან ბევრ რამეს აკეთებენ. ზოგი პირველი ლედი იმ საქმეებზე ყვება, რისაც მათ ძალიან სჯერათ. ზოგი კი ბევრს მუშაობს გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად. ზოგი პირველი ლედი ცდილობს, დაეხმაროს სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. მე ისიც შევიტყვე, რომ პირველ ქალბატონებს ხელფასს არ უხდიან მათი საქმიანობისათვის. შენ რომელი კითხვის პასუხი იპოვე ტექსტში?*

ლექსიკა

უცხო სიტყვებზე მუშაობა:

1. დაწერეთ დაფაზე ტექსტში გამოყენებული უცხო სიტყვები: *პრეზიდენტი, ლედი, პროექტი, ციტატა, დეპრესია, კონსტიტუცია, რევოლუცია, მემორიალი, პოლიომიელიტი, გრაციოზული, დემოკრატია, ადვოკატი, იმუნიტეტი, ჯანდაცვა, რეფორმა, სენატი, სენატორი.*

ივარჯიშეთ მოსწავლეებთან ერთად ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაზე. რომელია ამ სიტყვებიდან უცხო ენებიდან ნასესხები?.

2. დამარცვლეთ სიტყვები. გამოყავით ხმოვნები და თანხმოვნები. მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეთ ახალი სიტყვები დამარცვლით.

კითხვის შემდგომი აქტივობები:

1. დააკვირდით კითხვის პროცესს. დარწმუნდით, რომ მოსწავლემ ბოლომდე წაიკითხა ტექსტი. წაახალისეთ თითოეული მოსწავლე, რომ მალე წაიკითხოს ტექსტი და კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი მას.
2. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ყველა ტექსტს აქვს მთავარი იდეა და მეორეხარისხოვანი დეტალები. აუხსენით, რომ მეორეხარისხოვანი დეტალები მათ ტექსტის კარგად გაგებაში ეხმარებათ.
3. მიეცით ტექსტის მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი დეტალების იდენტიფიცირების მაგალითი.
4. აუხსენით მოსწავლეებს, როგორ დაიმახსოვრონ ის კითხვები, რაზეც კითხვის პროცესში პასუხი უნდა გასცენ. წაახალისეთ იკითხოთ მიზანმიმართულად. თითოეული ქვეთავი წაიკითხოთ კონკრეტულ კითხვებზე პასუხის პოვნის მიზნით.

ხმამალა ფიქრი: მინდოდა გამეგო, რას საქმიანობდა ჰილარი კლინტონი, როდესაც ის პირველი ლედი იყო. წიგნში წავიკითხე, რომ ის ჯანმრთელობის დასაცავად იბრძოდა. ეს ინფორმაცია ფურცელზე მოვნიშნე. მე გამიჩნდა სხვა კითხვებიც, რაც წიგნში არ წერია. ამიტომ გადავწყვიტე, გამოვიყენო ინტერნეტი ან ენციკლოპედია ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად.

5. გამოკვეთეთ კიდევ ერთხელ მთავარი იდეა. დაწერეთ მთავარი იდეა დაფაზე. ჰკითხეთ მათ, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო ინფორმაცია პირველ ქალბატონებზე?

6. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ზოგ წიგნში მოთხრობილია ერთი მოვლენის ან ერთი ადამიანის შესახებ. ამ წიგნში კი რამდენიმე პირველი ლედის შესახებ იყო მცირე ინფორმაცია მოთხრობილი. ჰკითხეთ, ამ ფაქტის გამო რთული ხომ არ იყო წიგნის მთავარი იდეის გამოკვეთა. მოსწავლეებთან ერთად გამოკვეთეთ თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა და დამხმარე დეტალები.
7. **შეამოწმეთ, რამდენად გაიგეს:** მაგალითად, მოსწავლეებმა წაიკითხეს მესამე ქვეთავი. ჰკითხეთ, ვის შესახებ არის ამ ქვეთავში მოთხრობილი, რა არის ამ ქვეთავის მთავარი იდეა, რომელი დეტალები დაეხმარათ მათ ქვეთავის შინაარსის გასაგებად.
8. კიდევ ერთხელ წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი. სთხოვეთ, კითხვის დროს გახაზონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დააჯგუფეთ მოსწავლეები ორ-ორად და ურჩიეთ, გაუზიარონ პარტნიორს თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა. დაწერონ სათითაოდ თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა წიგნის ბოლო გვერდზე ან ცალკე სამუშაო ფურცელზე. შეამოწმეთ, როგორ გაიგეს ტექსტის იდეა.
9. თუ შენიშნეთ, რომ მოსწავლემ ტექსტში რომელიმე სიტყვას კითხვის ნიშანი დაუსვა, ეს ნიშნავს, რომ მან ეს სიტყვა ვერ გაიგო, ან მისი სწორად გამოთქმა არ შეუძლია. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ ახლად ნასწავლი კითხვის სტრატეგია, წარმოთქვან სიტყვები და გაიაზრონ მათი მნიშვნელობები.
10. ჰკითხეთ მოსწავლეებს, მონიშნეს თუ არა რომელიმე სიტყვა ტექსტში. წააკითხეთ სიტყვები კიდევ ერთხელ.

რეფლექსია კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით

ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარათ მათ კითხვის დროს კითხვა-პასუხის მეთოდი. სთხოვეთ, გაიხსენონ ტექსტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

- 1. დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის მნიშვნელოვანი დეტალების გახსენებაში? რა დაეხმარათ მათ ტექსტის გაგებაში?
- 2. დამოუკიდებელი სამუშაო:** წარდგენა, ახსნა. როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას სამუშაო ფურცლებზე, წაიკითხეთ მათი პასუხები ხმამაღლა კლასში.
- 3. გაგება/გააზრება:** *ამ წიგნში თქვენ გაეცანით ცნობილ პირველ ქალბატონებს. როდესაც ახლა ამ ინფორმაციას ფლობთ, რას ფიქრობთ პირველი ქალბატონების საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ? როგორ ფიქრობთ, რატომაა მნიშვნელოვანი პირველი ლედის საქმიანობა? რას ფიქრობთ, როგორი უნდ იყოს პირველი ლედი? თქვენ რომ პირველი ლედი იყოთ, რომელ სფეროში იმუშავებდით (ჯანდაცვა, განათლება, ქველმოქმედება....)?*

ფონეტიკასა და გრამატიკაზე მუშაობა:

ა. ფონეტიკა: ხმოვნები. ხმოვან ე-ს გააქტიურება.

1. მოსწავლეებთან ერთად გაიხსენეთ ხმოვნები და თანხმოვნები. აუხსენით „ე“ ხმოვნის ზოგადი თავისებურებები.
2. დაწერეთ დაფაზე სიტყვები: პირველი, ლედი, მეუღლე, საშუალება, პროექტები, ქალბატონები... სთხოვეთ, შემოხაზონ სიტყვებში ხმოვანი „ე“.
3. წარმოთქვით წიტყვები, სადაც გამოყენებულია ხმოვანი „ე“, სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან იგივე სიტყვები ხმამაღლა.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ტექსტს, წაიკითხონ კიდევ ერთხელ, კითხვის დროს იპოვონ ხმოვანი „ე“ და ყოველი მათგანი გახაზონ.
5. დააჯგუფეთ მოსწავლეები ორ-ორად და სთხოვეთ ტექსტიდან ამოიწერონ სიტყვები, სადაც გამოყენებულია ხმოვანი „ე“. ხმამაღლა წაიკითხეთ თითოეული ჯგუფის მიერ ამოწერილი სიტყვები.
6. ჯგუფებმა წარმოთქვან ა და ი ბგერების შემცველი სიტყვები. შეადარონ ე ხმოვნის წარმოთქმისას პირის ღიაობა და თავადვე გააკეთონ დასკვნა (ე შუა რიგის ხმოვანია).

მორფოლოგია:

სახელების რიცხვი

1. გაახსენეთ მოსწავლეებს სახელის მნიშვნელობა. აუხსენით სახელების მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები.

2. დაწერეთ დაფაზე შემდეგი სახელები: პრეზიდენტი, მეუღლე, ქალბატონი, პროექტი. დაფა გაყავით ორ ნაწილად. ერთ მხარეს დაწერეთ მხოლოდითი რიცხვი, ხოლო მეორე მხარეს - მრავლობითი რიცხვი. დაეხმარეთ მოსწავლეებს, სახელები მხოლოდითი რიცხვიდან გადაიყვანონ მრავლობითში.
3. **შემოწმეთ, როგორ გაიგეს:** სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტში იპოვონ სახელები მრავლობით რიცხვში და ამოწერონ ისინი სამუშაო ფურცლებზე. გამართეთ დისკუსია მათ მიერ ამოწერილ სიტყვებთან დაკავშირებით. გამოაყოფინეთ ფუძე და რიცხვის აღმნიშვნელი ბოლოსართი.

საკითხავი ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა:

- შესთავაზეთ მოსწავლეებს ინტერნეტწყარო ან მოიტანეთ ამობეჭდილი ინფორმაცია ამერიკის პირველი ქალბატონების შესახებ.
- დაავალეთ მოსწავლეებს სურვილის მიხედვით შეარჩიონ რომელიმე პირველი ლედი და დაწერონ მოკლე ბიოგრაფია პირველი ლედის შესახებ.
- წაახალისეთ ისინი, გამოხატონ საკუთარი აზრი კონკრეტულ პირველ ლედისთან დაკავშირებით.
- აუხსენით მოხსენების დაწერის წესები. სთხოვეთ, მოხსენება დაყონ სამ ნაწილად: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა. წაახალისეთ მოსწავლეები, მოხსენებაში გამოიყენონ ილუსტრაციები და ფოტოები. გაუკეთეთ მას ყდა.
- გააკეთეთ თითოეული მოსწავლის მოხსენება ცალკე წიგნად ან შეკარით მთელი კლასის მოხსენებები ერთად და გაუკეთეთ ყდა.

სოციალური სწავლება:

1. უზრუნველყავით მოსწავლეები ინტერნეტით ან დაბეჭდილი ინფორმაციით ქალების პოლიტიკური აქტიურობის შესახებ. სთხოვეთ, დააღაგონ დროითი თანამიმდევრობით ქალების ჩართულობა პოლიტიკაში. მოიძიონ ნებისმიერი ინფორმაცია პოლიტიკაში ქალის როლის შესახებ. დაავალეთ, წლების მიხედვით დააღაგონ მოვლენები დიდი ზომის ქაღალდზე/ ჩარტზე.
2. დავალეთ შესრულების შემდეგ, ჩარტი გააკარით კლასის კედელზე.

უნარების შემოწმება (მიმდინარე შეფასება)

სადისკუსიო ბარათები სწავლების დამატებითი აქტივობაა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ვარიანტი, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სადისკუსიო ბარათები მოსწავლეებთან.

1. ბარათები გამოიყენეთ ლიტერატურული წრის შესაკრავად.
2. ბარათები შეიძლება გამოიყენოთ წიგნის კითხვის დაწყებამდეც. მოსწავლე ირჩევს ერთ-ერთ ბარათს, სადაც წერია კითხვა, ან საკითხი, რომელიც მან ჯერ არ იცის. წიგნის წაკითხვა მიმართული იქნება სადისკუსიო ბარათზე მოცემული კითხვის საპასუხოდ.
3. ბარათები გამოიყენეთ თამაშისთვის.

მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...

1. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე კითხვა-პასუხის სტრატეგიის ადეკვატურად გამოყენება;
2. დისკუსიებში და სამუშაო ფურცლებზე ტექსტის მთვარი იდეისა და დამხმარე დეტალების იდენტიფიცირება ტექსტის უკეთ გაგებისათვის;
3. ზეპირად სიტყვების დამარცვლა წიგნიდან;
4. სახელების მრავლობითი და მხოლოდითი რიცხვის იდენტიფიცირება და ფორმულირება.